

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
040.170.280.12.005.006.843

**საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის
დადგენილება N43
2004 წლის 11 ნოემბერი ქ. თბილისი**

**აქტივების მმართველი კომპანიების საწესდებო
კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნების
განსაზღვრის შესახებ**

“არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული „აქტივების მმართველი კომპანიების საწესდებო კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“.
2. წინამდებარე დადგენილების პირველ პუნქტში განსაზღვრული წესი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე

მ. ჯიბუტი

წესი

**აქტივების მმართველი კომპანიების საწესდებო კაპიტალისადმი მინიმალური
მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ**

მუხლი 1.

ეს წესი შემუშავებულია “არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს მოთხოვნებს აქტივების მმართველი კომპანიების მინიმალური საწესდებო კაპიტალისადმი

მუხლი 2.

ამ წესში გამოყენებულია ტერმინები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობებით.

მუხლი 3. მოთხოვნები საწესდებო კაპიტალისადმი

3.1 აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია ლიცენზიის მაძიებლის განადგებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.

3.2 ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში აქტივების მმართველი კომპანიის განადგებული საწესდებო კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს პირველ პუნქტში განსაზღვრულ სიდიდეს

3.3 თუ აქტივების მმართველი კომპანია მართავს ერთზე მეტი იურიდიული პირის აქტივებს მაშინ მისი საწესდებო კაპიტალი უნდა გაიზარდოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ოდენობის 10 პროცენტით ყოველი დამატებითი ერთეულისათვის

3.4 თუ საწესდებო კაპიტალი ნაკლებია ამ წესით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე მმართველი კომპანია ვალდებულია ამის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს კომისიას

3.5 ინვესტორთა დაცვის მიზნით კომისიას შეუძლია დააწესოს დამატებითი მოთხოვნები მმართველი კომპანიის კაპიტალზე (მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაცვაზე).